

საქართველოს ფრთაჭრელა ბუზების (Diptera, Tephritidae)

მრავალფეროვნება

სოფიო ბალხამიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან მუმლაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

# სარჩევი

სარჩევი.....	i
განაცხადი.....	ii
აბსტრაქტი.....	iii
შესავალი.....	1
კავკასია - ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი და ლიტერატურის მიმოხილვა...	1
ფრთაჭრელა ბუზები - გავრცელება, ბიოლოგია .....	2
სამაგისტრო კვლევის მიზნები და ამოცანები .....	4
მასალა და მეთოდები.....	5
სინჯების შეგროვება .....	5
დნმ-ის დამუშავება.....	7
მონაცემთა ანალიზი.....	8
შედეგები.....	8
ფრთაჭრელა ბუზების ანოტირებული სია საქართველოსთვის .....	9
დისკუსია.....	47
მადლობა.....	50
გამოყენებული ლიტერატურა.....	51

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სოფიო ბალხამიშვილი

თარიღი: 22.06.2024

## აბსტრაქტი

ფრთაჭრელა ბუზები (Diptera: Tephritidae), წარმოადგენენ მრავალფეროვან, კოსმოპოლიტურ ოჯახს, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებულნი არიან ზომიერ, ტროპიკულ და სუბტროპიკულ ადგილებში. აღნიშნული ოჯახის მრავალფეროვნების შესახებ პირველი კვლევები რეგიონის მასშტაბით დაკავშირებულია ფილიპ ზაიცევთან, რის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი არ ყოფილა. წარმდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოსთვის ფრთაჭრელა ბუზების მრავალფეროვნების შესახებ არსებული ინფორმაციის რევიზია და კონსოლოდირაცია, და ახალი მონაცემებით გამდიდრება. კვლევის შედეგად დადგინდა რომ ამ დროისთვის საქართველოდან ცნობილია ფრთაჭრელების 88 სახეობა, საიდანაც 54 უშუალოდ სამაგისტრო კვლევაზე მუშაობისას გახდა ცნობილი.